**პროექტი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ ივნისი"

ქ. ოზურგეთი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ასევე 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო*

ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N21 დადგენილების მე-11 მუხლის (**მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)** ა) ქვეპუნქტში, ცვლილების პროექტი. (ვებგვერდი:28/12/2023 წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.113.016505 )

**მე-11 მუხლის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 11. ა) პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მომსახურებას ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში, ბიუჯეტი განისაზღვრება სპეციალისტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ტერიტორიული პრინციპით, თითოეულ განხორციელებულ ვიზიტზე (3 - 7 ლარი) 12 თვის განმავლობაში, თვეში არაუმეტეს 8 ვიზიტს ერთ ბენეფიციართან, ჯამში 30240 ლარის ოდენობით;“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით დარჩია**